საქართველოს
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2025 წლის წლიური ანგარიში

თებერვალი, 2026 წელი

სარჩევი

შესავალი 3

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, მისია და ღირებულებები 5

სისტემის წევრი ბანკები და მიკრობანკები 6

სააგენტოს მიერ 2025 წელს განხორციელებული ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა 7

სადაზღვევო ზღვრის გაზრდის გადაწყვეტილება 7

კომერციული ბანკების და მიკრობანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები 8

დეპოზიტების ცვლილების ტენდენცია 9

დეპოზიტების დაზღვევის ფონდი და პორტფელის მართვა 15

პროგრამის განახლება 18

სააგენტოს მიერ სარეზოლუციო ფონდის მართვა და საბანკო რეზოლუციაში მონაწილეობის საკითხი 19

კომერციული ბანკების ადგილზე გადამოწმება 20

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები 20

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური მდგომარეობა 21

შესავალი

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა 2018 წლიდან ამოქმედდა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფუნქიონირებას სსიპ „დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო“ უზრუნველყოფს, რომლის საქმიანობა „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირდება. სისტემა უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედ ნებისმიერ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში განთავსებული ყველა სახის დეპოზიტების დაზღვევას სადაზღვევო ზღვრის ფარგლებში. დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დეპოზიტორების დაცვას დაზღვეული დეპოზიტების დაკარგვისგან (გარანტირებულად ანაზღაურებადი თანხის კონკრეტული ოდენობით) იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის და მიკრობანკის მიმართ ლიკვიდაციის პროცესი იწყება.

ამასთან, სისტემა ხელს უწყობს ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებას, ამაღლებს საზოგადოებრივ ნდობას საბანკო სექტორის მიმართ და შესაბამისად, სტიმულს აძლევს დანაზოგების ზრდას.

ამოქმედებიდან დღემდე გადაიდგა რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები სისტემის განვითარების მიზნით. სადაზღვევო ზღვარი, რომელიც თავდაპირველად 5,000 ლარით იყო განსაზღვრული, ორჯერ გადაიხედა და ბაზრის დინამიკის შესაბამისად გაიზარდა - თავდაპირველად 15,000 (2020 წლის 1 ივლისიდან), ხოლო 2024 წლის 1 იანვრიდან 30,000 ლარამდე. ამასთან, სისტემას დაემატა იურიდიული პირების დაზღვევა (2022 წლის 1 იანვრიდან), რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების კუთხით. მიმდინარეობს მუშაობა სისტემის მანდატის გაფართოების მიმართულებით, რაც გაზრდის დეპოზიტების დაზღვევის სისტემის, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტის როლს და მნიშვნელობას.

დეპოზიტების დაზღვევა პრუდენციულ რეგულირებასთან, ლიკვიდურობის მხარდაჭერასთან და ეფექტიან ზედამხედველობასთან ერთად, ფინანსური უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია.



დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტი, დანერგილია და მოქმედებს მსოფლიოს 150-მდე ქვეყანაში.

საქართველოში სისტემის შემოღება გათვალისწინებული იყო, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით. სისტემა დაინერგა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და რეგულირდება 2017 წლის 17 მაისს მიღებული საქართველოს კანონით „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“.

2022 წლის იანვრიდან საქართველო დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (IADI) წევრია. 2023 წელს კი სააგენტო ევროპის მზღვეველთა ფორუმში (EFDI) გაწევრიანდა.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, მისია და ღირებულებები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მართვისა და ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებით, ჩამოყალიბდა სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო (შემდგომში სააგენტო). სააგენტო, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უფროსის ჩათვლით შტატით გათვალისწინებული 6 თანამშრომლით არის დაკომპლექტებული, მათ შორის ფინანსური ექსპერტი (2), ანაზღაურების ექსპერტი, იურისტი და ადმინისტრაციის სპეციალისტი. სააგენტო ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს მათ შორის, შესყიდვების და ფინანსური მენეჯერების, საინფორმაციო ტექნოლოგიების კონსულტანტის და მძღოლის მომსახურებით.

სააგენტოს ზედამხედველობას უწევს საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და 2 დამოუკიდებელი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო. საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს ირჩევენ კომერციული ბანკები და მიკრობანკები 5 წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები, სააგენტოს ორგანიზებით, იმართება კვარტალურად. საბჭო პრეზენტაციის სახით იღებს ინფორმაციას სააგენტოს მიერ განხორციელებულ და მიმდინარე სამუშაოებთან, ასევე, ფონდის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. საბჭოსთან შეთანხმებით მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, თანხმდება კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები (ინსტრუქციები), სააგენტოს ბიუჯეტი და კანონით განსაზღვრული სხვა საკითხები.

სააგენტოს მისიაა, მცირე ადმინისტრაციული რესურსით და ეფექტიანი მართვით, უზრუნველყოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირება, სისტემის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა, მიზნების განხორციელება, ფუნქციათა შესრულების უწყვეტობა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საჯარო პოლიტიკის ისეთი მიზნებით, როგორებიცაა ფინანსური უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება, დეპოზიტორების დაცვა და საბანკო სექტორში სისტემური კრიზისის პრევენცია. სააგენტო უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი სისტემის დაახლოებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, მათ შორის დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითად პრინციპებსა და ევროდირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სისტემის წევრი ბანკები და მიკრობანკები

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი და მიკრობანკი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში ჩართულია სულ 19 წევრი, მათ შორის 17 კომერციული ბანკი (მათგან სამი ციფრული ბანკი) და 2 მიკრობანკი (ცხრილი #1).

ცხრილი #1: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრები, 2025 წლის 31 დეკემბერი

	კომერციული ბანკი
1	სს "ბანკი ქართუ "
2	სს "ბაზისბანკი"
3	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
4	სს "ზირაათ ბანკი საქართველო"
5	სს "თიბისი ბანკი"
6	სს "იშბანკი საქართველო"
7	სს "კრედო ბანკი"
8	სს "ლიბერთი ბანკი"
9	სს "პაშა ბანკი საქართველო "
10	სს "პროკრედიტ ბანკი"
11	სს "საქართველოს ბანკი"
12	სს "სილქ ბანკი"
13	სს "ტერაბანკი"
14	სს "ხალიკ ბანკი საქართველო"
15	სს "პეივ ბანკ ჯორჯია" *
16	სს "პეისერა ბანკი საქართველო" *
17	სს „ჰეშ ბანკი“ *
	მიკრობანკი
18	სს „მიკრობანკი ემბისი“
19	სს „მიკრობანკი კრისტალი“

* ციფრული ბანკი

სააგენტოს მიერ 2025 წელს განხორციელებული ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა

2025 წლის განმავლობაში, მიმდინარე სამუშაოების გარდა, ყურადღება გამახვილდა რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაზე. სააგენტომ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები 2026 წლისთვის ზღვრის შემდგომი გაზრდის უზრუნველსაყოფად და მომზადებული წინადადება განსახილველად წარუდგინა სამეთვალყურეო საბჭოს.

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს შორის გაფორმდა შეთანხმება „სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირების თაობაზე“. შეთანხმების თანახმად, სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირებას, საინვესტიციო მიმართულებით, ახორციელებს სააგენტო.

მნიშვნელოვანი განახლება ჩაუტარდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მართვის საინფორმაციო სისტემას, რომელიც მოიცავდა, როგორც არსებული მოდულების ტექნიკურ განახლებას, ისე სრულად ახალი ფუნქციონალის დამატებას პროგრამაში.

დაიგეგმა და მომზადდა განახლებული საინფორმაციო კამპანია, რომელიც 2026 წლის მეორე კვარტლიდან მიეწოდება საზოგადოებას.

სააგენტო აგრძელებს აქტიურ მუშაობას საბანკო რეზოლუციის პროცესში დეპოზიტების დაზღვევის ფონდების მონაწილეობის კუთხით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის და პარტნიორებისგან გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

სადაზღვევო ზღვრის გაზრდის გადაწყვეტილება

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტო პერიოდულად წარუდგენს საბჭოს ზღვრის ოდენობის საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკასთან შესაბამისობის ანალიზს, რის საფუძველზეც მიიღება ზღვრის გადახედვის - გაზრდის ან უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია სადაზღვევო ზღვარი სწორად იყოს განსაზღვრული და ქმნიდეს დაცვის ადეკვატურ გარანტიას. ევროკავშირის სტანდარტით სადაზღვევო ზღვარი 100 000 ევროს შეადგენს, რაც ბუნებრივია, ახლო

მომავალში ქართული მოცემულობისთვის არარეალისტური მიზნობრივი მაჩვენებელია, თუმცა ეტაპობრივი ზრდა და ევროსტანდარტებთან დაახლოება, რჩება სააგენტოს პრიორიტეტებს შორის.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დეპოზიტების დაზღვევის ძირითადი პრინციპების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სისტემის შემოღება, ასევე, ზღვრის გაზრდა, მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც ზოგადი ფინანსური ვითარება და საბანკო სექტორი სტაბილურია.

2025 წელს, შეიქმნა გარკვეულ ეკონომიკურ ტენდენციათა სახარბიელო ერთობლიობა, რომელმაც ზღვრის შემდგომი გაზრდის შესაძლებლობის მორიგი ფანჯარა გააჩინა, ისე რომ გადაწყვეტილების ეფექტი მაქსიმალურად უმტკივნეულო ყოფილიყო კომერციულ ბანკებზე ფინანსური გავლენის კუთხით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ მოამზადა წინადადება 2026 წლიდან ზღვრის 30,000-დან 50,000 ლარამდე გაზრდის თაობაზე და განსახილველად წარუდგინა სამეთვალყურეო საბჭოს.

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გაიმართა კონსულტაციები საბანკო სექტორთან. სწორედ მათი ჩართულობით და შემოთავაზებული წინადადებების გათვალისწინებით, გადაწყდა, რომ ზღვრის გაზრდის გადაწყვეტილება ძალაში 2026 წლის მეორე კვარტლიდან შევიდოდა.

საბჭოს მიერ ზღვრის გაზრდასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე სააგენტოს მხრიდან დაიწყო შესაბამისი სამუშაოების განხორციელება, მათ შორის, ცვლილება აისახა ყველა შესაბამის ნორმატიულ აქტში, დაიწყო მუშაობა საზოგადოებასთან კომუნიკაციის და ახალი სარეკლამო კამპანიის საკითხზე.

ცვლილება ძალაში 2026 წლის 1 აპრილიდან შევა.

კომერციული ბანკების და მიკრობანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი და მიკრობანკი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში 17 კომერციული ბანკი და 2 მიკრობანკი ოპერირებს. „კომერციული ბანკების და მიკრობანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების, შენატანების გადახდის პროცედურების და დეპოზიტების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის“ ინსტრუქციის შესაბამისად, სისტემის წევრი ყველა კომერციული ბანკი და მიკრობანკი ვალდებულია სააგენტოს ყოველთვიური ანგარიშგების სახით მიაწოდოს ინფორმაცია დაზღვეული დეპოზიტების შესახებ. ამავე ინსტრუქციის შესაბამისად ხდება ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის ოდენობის დაანგარიშება და დეპოზიტების დაზღვევის ფონდში გადახდა. სააგენტოში კომერციული ბანკებიდან და მიკრობანკებიდან მიღებული ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება მართვის საინფორმაციო სისტემის საშუალებით.

დეპოზიტების ცვლილების ტენდენცია

დეპოზიტები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ (ფიზიკური და იურიდიული პირები) 68.64 მლრდ ლარი შეადგინა, საიდანაც 35.95 მლრდ ლარი ფიზიკური პირების, ხოლო 32.70 მლრდ ლარი იურიდიული პირების დეპოზიტები იყო. ამავე პერიოდისთვის, მთლიანი დეპოზიტების მოცულობამ წლიურად 13.85%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტებმა 12.87%-ით, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტებმა 14.95%-ით მოიმატა (ცხრილი #2).

ცხრილი #2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები, სულ დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება(%), მლრდ ლარი

	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23.90	27.24	35.42	38.03	46.03	52.09	60.29	68.64
ცვლილება, %		*13.97*	*30.01*	*7.38*	*21.04*	*13.15*	*15.75*	*13.85*
ფიზიკური პირების დეპოზიტები	12.50	15.07	18.49	20.29	24.00	27.33	31.85	35.95
ცვლილება, %		*20.53*	*22.70*	*9.74*	*18.27*	*13.90*	*16.52*	*12.87*
იურიდიული პირების დეპოზიტები	11.40	12.17	16.93	17.74	22.03	24.75	28.44	32.70
ცვლილება, %		*6.75*	*39.11*	*4.78*	*24.20*	*12.33*	*14.91*	*14.95*

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფიზიკური პირების დეპოზიტები 29.1%-ით, აშშ დოლარში 6.7%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 2.5%-ით), ევროში 5.8%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 14.5%-ით), სხვა ვალუტაში (გამოსახული აშშ დოლარში) 0.2%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 3.8%-ით შემცირებული) არის გაზრდილი. იურიდიული პირების დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 25%-ით, აშშ დოლარში 0.5%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე შემცირებული 3.5%-ით), ევროში 0.4%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 8.8%-ით) და სხვა ვალუტაში (გამოსახული აშშ დოლარში) 65.2%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 58.7%-ით) არის გაზრდილი (ცხრილი #3).

ცხრილი #3. ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები ვალუტების მიხედვით, საკურსო ეფექტის ცვლილება, მლრდ (ნომინალი)

ფიზიკური პირების დეპოზიტები	12 - 24	12 - 25	12 - 25 *
ლარი	10.79	13.93	13.93
ცვლილება, %		*29.1*	*29.1*
აშშ დოლარი	6.05	6.45	6.20
ცვლილება, %		*6.7*	*2.5*
ევრო	1.29	1.36	1.48
ცვლილება, %		*5.8*	*14.5*
სხვა ვალუტა (აშშ დოლარი)	0.11	0.11	0.10
ცვლილება, %		*0.2*	*-3.8*

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

იურიდიული პირების დეპოზიტები	12 - 24	12 - 25	12 - 25 *
ლარი	17.00	21.25	21.25
ცვლილება, %		*25.0*	*25.0*
აშშ დოლარი	3.15	3.17	3.04
ცვლილება, %		*0.5*	*-3.5*
ევრო	0.82	0.83	0.90
ცვლილება, %		*0.4*	*8.8*
სხვა ვალუტა (აშშ დოლარი)	0.06	0.10	0.10
ცვლილება, %		*65.2*	*58.7*

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2025 წლის განმავლობაში დეპოზიტების მთლიანი მოცულობა საშუალოდ თვიურად 1.10%-ით იზრდებოდა, მაქსიმალური ზრდა სექტემბრის თვეში დაფიქსირდა და 4.43% შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტები საშუალოდ 1.02%-ით, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტები 1.21%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების მაქსიმალური 4.11%-იანი ზრდა დეკემბრის თვეში, იურიდიული პირების 7.46%-იანი ზრდა სექტემბრის თვეში დაფიქსირდა (ცხრილი #4).

ცხრილი #4. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები, სულ დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება (%), მლრდ ლარი

	12 - 24	01 - 25	02 - 25	03 - 25	04 - 25	05 - 25	06 - 25	07 - 25	08 - 25	09 - 25	10 - 25	11 - 25	12 - 25	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	60.29	60.23	59.50	59.85	59.96	60.40	62.19	63.23	64.41	67.26	67.27	67.22	68.64	
ცვლილება, %		*-0.10*	*-1.21*	*0.58*	*0.19*	*0.73*	*2.96*	*1.68*	*1.86*	*4.43*	*0.01*	*-0.07*	*2.11*	*1.10*
ფიზიკური პირების დეპოზიტები	31.85	31.91	32.02	31.96	32.32	32.46	33.01	33.55	33.52	34.07	34.57	34.53	35.95	
ცვლილება, %		*0.21*	*0.34*	*-0.19*	*1.11*	*0.43*	*1.72*	*1.64*	*-0.10*	*1.64*	*1.48*	*-0.12*	*4.11*	*1.02*
იურიდიული პირების დეპოზიტები	28.44	28.32	27.48	27.89	27.65	27.95	29.18	29.68	30.89	33.19	32.70	32.69	32.70	
ცვლილება, %		*-0.44*	*-2.95*	*1.47*	*-0.87*	*1.08*	*4.40*	*1.73*	*4.07*	*7.46*	*-1.49*	*-0.01*	*0.01*	*1.21*

ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფიზიკური პირების დეპოზიტები 2025 წლის განმავლობაში საშუალოდ თვიურად 2.18%-ით, აშშ დოლარში 0.55%-ით, ევროში 0.48%-ით, სხვა ვალუტაში (გამოსახული აშშ დოლარში) 0.37%-ით იზრდებოდა (ცხრილი #5).

ცხრილი #5. ფიზიკური პირების დეპოზიტები ვალუტების მიხედვით, ცვლილება (%), მლრდ (ნომინალი)

	12 - 24	01 - 25	02 - 25	03 - 25	04 - 25	05 - 25	06 - 25	07 - 25	08 - 25	09 - 25	10 - 25	11 - 25	12 - 25	საშ
ფიზიკური პირების დეპოზიტები, ლარი	10.79	10.55	10.77	10.85	11.18	11.32	11.75	11.92	11.97	12.30	12.61	12.76	13.93	
ცვლილება, %		*-2.2*	*2.1*	*0.8*	*3.0*	*1.3*	*3.8*	*1.5*	*0.4*	*2.7*	*2.5*	*1.2*	*9.2*	*2.18*
ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი	6.05	6.00	6.10	6.13	6.15	6.19	6.20	6.39	6.35	6.40	6.41	6.37	6.45	
ცვლილება, %		*-0.79*	*1.72*	*0.5*	*0.3*	*0.6*	*0.3*	*2.9*	*-0.5*	*0.8*	*0.1*	*-0.6*	*1.3*	*0.55*
ფიზიკური პირების დეპოზიტები, ევრო	1.29	1.28	1.28	1.28	1.25	1.27	1.27	1.28	1.31	1.30	1.35	1.36	1.36	
ცვლილება, %		*-1.16*	*0.7*	*-0.6*	*-2.0*	*1.2*	*0.5*	*1.0*	*1.8*	*-0.5*	*4.1*	*0.7*	*0.1*	*0.48*
ფიზიკური პირების დეპოზიტები, სხვა ვალუტა (აშშ დოლარი)	0.11	0.10	0.10	0.12	0.11	0.11	0.11	0.12	0.12	0.11	0.11	0.11	0.11	
ცვლილება, %		*-5.7*	*-4.9*	*25.5*	*-9.1*	*0.1*	*3.0*	*7.9*	*-4.3*	*-7.3*	*0.1*	*-0.6*	*-0.3*	*0.37*

ეროვნულ ვალუტაში განთავსებული იურიდიული პირების დეპოზიტები საშუალოდ თვიურად 1.92%-ით, აშშ დოლარსა და ევროში 0.20%-ით, ხოლო სხვა ვალუტაში (გამოსახული აშშ დოლარში) 9.54%-ით იზრდებოდა (ცხრილი #6).

ცხრილი #6. იურიდიული პირების დეპოზიტები ვალუტების მიხედვით, ცვლილება (%), მლრდ (ნომინალი)

	12 - 24	01 - 25	02 - 25	03 - 25	04 - 25	05 - 25	06 - 25	07 - 25	08 - 25	09 - 25	10 - 25	11 - 25	12 - 25	საშ
იურიდიული პირების დეპოზიტები, ლარი	17.00	17.11	16.63	16.95	17.04	18.18	19.11	19.49	19.97	21.42	21.33	21.86	21.25	
ცვლილება, %		*0.6*	*-2.8*	*1.9*	*0.5*	*6.7*	*5.1*	*2.0*	*2.4*	*7.3*	*-0.4*	*2.5*	*-2.8*	*1.92*
იურიდიული პირების დეპოზიტები, აშშ დოლარი	3.15	3.00	2.97	3.05	3.00	2.73	2.81	2.84	3.05	3.38	3.16	3.02	3.17	
ცვლილება, %		*-4.83*	*-1.00*	*2.7*	*-1.6*	*-9.1*	*3.1*	*0.9*	*7.4*	*10.7*	*-6.6*	*-4.2*	*4.9*	*0.20*
იურიდიული პირების დეპოზიტები, ევრო	0.82	0.82	0.79	0.79	0.70	0.64	0.68	0.72	0.74	0.73	0.79	0.78	0.83	
ცვლილება, %		*-0.7*	*-3.0*	*-0.8*	*-11.6*	*-7.9*	*6.4*	*5.8*	*2.8*	*-1.1*	*6.9*	*-0.4*	*5.9*	*0.20*
იურიდიული პირების დეპოზიტები, სხვა ვალუტა (აშშ დოლარი)	0.06	0.04	0.05	0.05	0.06	0.12	0.08	0.09	0.14	0.11	0.12	0.08	0.10	
ცვლილება, %		*-27.7*	*12.5*	*5.4*	*16.3*	*95.1*	*-30.1*	*7.6*	*55.4*	*-20.6*	*10.6*	*-32.4*	*22.5*	*9.54*

დაზღვეული დეპოზიტები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ დაზღვეული დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ (ფიზიკური და იურიდიული პირები) 12.25 მლრდ ლარი შეადგინა, საიდანაც 11.24 მლრდ ლარი ფიზიკური პირების, ხოლო 1.007 მლრდ ლარი იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტები იყო. 2025 წელს სულ დაზღვეული დეპოზიტები წლიურად 14.75%-ით, ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტები 15.51%-ით და იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტები 6.88%-ით გაიზარდა (ცხრილი #7).

ცხრილი #7. სულ დაზღვეული დეპოზიტები, ფიზიკური და იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება (%), მლრდ ლარი

	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
სულ დაზღვეული დეპოზიტები	1.75	2.02	4.04	4.56	5.92	6.86	10.67	12.25
ცვლილება, %		*15.25*	*100.36*	*12.72*	*29.88*	*15.99*	*55.50*	*14.75*
ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტები	1.75	2.02	4.04	4.56	5.36	6.26	9.73	11.24
ცვლილება, %		*15.25*	*100.36*	*12.72*	*17.70*	*16.68*	*55.54*	*15.51*
იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტები	-	-	-	-	0.555	0.607	0.942	1.007
ცვლილება, %						*9.34*	*55.18*	*6.88*

შენიშვნა: 2020 და 2024 წელს ზრდის მაღალი მაჩვენებელი სადაზღვევო ზღვრის გაზრდით, 2022 წელს კი სისტემაში იურიდიული პირების დამატებით არის გამოწვეული.

2025 წლის განმავლობაში სულ დაზღვეული დეპოზიტები საშუალოდ 1.18%-ით იზრდებოდა, სადაც მაქსიმალური ზრდა - 6.87% 2025 წლის დეკემბრის თვეში დაფიქსირდა. ფიზიკური პირების და იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტები საშუალოდ შესაბამისად 1.24%-ით და 0.57%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა ფიზიკური პირების დაზღვეულ დეპოზიტებში 2025 წლის დეკემბრის თვეში (7.28%), იურიდიული პირების დაზღვეულ დეპოზიტებში ივლისის თვეში (2.89%) დაფიქსირდა (ცხრილი #8).

ცხრილი #8. სულ დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა, ფიზიკური და იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება (%), მლრდ ლარი

	12 - 24	01 - 25	02 - 25	03 - 25	04 - 25	05 - 25	06 - 25	07 - 25	08 - 25	09 - 25	10 - 25	11 - 25	12 - 25	საშ
სულ დაზღვეული დეპოზიტები	10.67	10.41	10.56	10.51	10.72	10.80	11.04	11.34	11.31	11.49	11.60	11.46	12.25	
ცვლილება, %		*-2.51*	*1.48*	*-0.43*	*1.91*	*0.81*	*2.19*	*2.76*	*-0.31*	*1.60*	*1.00*	*-1.25*	*6.87*	*1.18*
ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტები	9.73	9.50	9.66	9.60	9.80	9.87	10.10	10.38	10.34	10.51	10.62	10.48	11.24	
ცვლილება, %		*-2.41*	*1.73*	*-0.62*	*2.05*	*0.69*	*2.38*	*2.75*	*-0.39*	*1.72*	*1.02*	*-1.36*	*7.28*	*1.24*
იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტები	0.94	0.908	0.899	0.914	0.918	0.937	0.939	0.966	0.972	0.976	0.983	0.982	1.007	
ცვლილება, %		*-3.56*	*-1.09*	*1.67*	*0.50*	*2.07*	*0.24*	*2.89*	*0.58*	*0.37*	*0.77*	*-0.12*	*2.53*	*0.57*

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ დაზღვეული დეპოზიტების პროცენტული წილი 17.84%-ია. ფიზიკური და იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტების წილი კი შესაბამისად 31.27% და 3.08%-ია (ცხრილი #9).

ცხრილი #9. დაზღვეული დეპოზიტების წილი, ფიზიკური პირები,იურიდიული პირები,სულ,(%), 2018-2025

დაზღვეული დეპოზიტების წილი,%	12 - 18	12 - 19	12 - 20	12 - 21	12 - 22	12 - 23	12 - 24	12 - 25
ფიზიკური პირები	14.00	13.39	21.86	22.45	22.34	22.89	30.56	31.27
იურიდიული პირები	0.00	0.00	0.00	0.00	2.52	2.45	3.31	3.08
სულ	14.00	13.39	21.86	22.45	12.86	13.18	17.70	17.84

შენიშვნა: 2022 წელს სულ დაზღვეული დეპოზიტების პროცენტული წილის შემცირება, სისტემაში იურიდიული პირების დეპოზიტების დამატებით და არსებული სადაზღვევო ზღვრის განაწილებით არის გამოწვეული.

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური და იურიდიული პირების 97% და 89% შესაბამისად.

ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტების 57% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 43% - უცხოურ ვალუტაში. დაზღვეული იურიდიული პირების დეპოზიტების შემთხვევაში დაზღვეული დეპოზიტების 78% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 22% უცხოურ ვალუტაში. სულ დაზღვეული დეპოზიტების ჭრილში აღნიშნული მონაცემები შესაბამისად 59% და 41%-ია.



რეგულარული სადაზღვევო შენატანები

კომერციული ბანკების და მიკრობანკების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების მიხედვით, 2025 წლის განმავლობაში სულ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანის მოცულობა თვიურად საშუალოდ 1.35%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა - 5.09% 2025 წლის დეკემბრის თვეში დაფიქსირდა და რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 6.65 მლნ ლარი შეადგინა. დაზღვეული ფიზიკური პირების დეპოზიტებისთვის რეგულარული სადაზღვევო შენატანი წლიურად საშუალოდ 1.42%-ით იზრდებოდა, მაქსიმალური 5.32%-იანი ზრდა ასევე დეკემბრის თვეში დაფიქსირდა, სადაც შენატანის მოცულობამ 6.19 მლნ. ლარი შეადგინა. იურიდიული პირების დეპოზიტებისთვის რეგულარული სადაზღვევო შენატანი წლიურად საშუალოდ 0.55%-ით იზრდებოდა და მაქსიმალური ზრდა - 2.32%, ივლისის თვეში დაფიქსირდა, სადაც შენატანის ოდენობა 0.45 მლნ ლარი იყო. რაც შეეხება შენატანების მოცულობის წლიურ ზრდას, 2025 წლის დეკემბრის თვეში კომერციული ბანკების და მიკრობანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდის მიმართ სულ არსებული ვალდებულება 17.35%-ით არის გაზრდილი (ფიზიკური პირებისთვის -18.24%, იურიდიული პირებისთვის - 6.71%) (ცხრილი #10).

ცხრილი #10. რეგულარული სადაზღვევო შენატანი სულ, ფიზიკური და იურიდიული პირები, ცვლილება, %, მლნ ლარი

	12 - 24	01 - 25	02 - 25	03 - 25	04 - 25	05 - 25	06 - 25	07 - 25	08 - 25	09 - 25	10 - 25	11 - 25	12 - 25	საშ	წლიური
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (ფიზიკური პირები)	5.23	5.36	5.51	5.48	5.57	5.59	5.70	5.83	5.82	5.91	5.95	5.87	6.19		
ცვლილება, %		*2.36*	*2.89*	*-0.57*	*1.65*	*0.40*	*1.88*	*2.26*	*-0.03*	*1.41*	*0.76*	*-1.28*	*5.32*	*1.42*	*18.24*
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (იურიდიული პირები)	0.44	0.43	0.43	0.44	0.44	0.44	0.44	0.45	0.45	0.46	0.46	0.46	0.47		
ცვლილება, %		*-0.77*	*-0.07*	*0.84*	*0.01*	*1.21*	*-0.19*	*2.32*	*0.50*	*0.44*	*0.61*	*-0.40*	*2.08*	*0.55*	*6.71*
სულ რეგულარული სადაზღვევო შენატანი	5.67	5.79	5.94	5.92	6.01	6.03	6.14	6.28	6.28	6.36	6.41	6.33	6.65		
ცვლილება, %		*2.11*	*2.67*	*-0.47*	*1.53*	*0.45*	*1.73*	*2.27*	*0.00*	*1.34*	*0.75*	*-1.22*	*5.09*	*1.35*	*17.35*

დეპოზიტების დაზღვევის ფონდი და პორტფელის მართვა

2025 წლის იანვარ-დეკემბერში დეპოზიტების დაზღვევის ფონდში ბანკებისა და მიკრობანკების მიერ რეგულარული სადაზღვევო შენატანის სახით ჯამში 73,159,034 ლარი აკუმულირდა. კუპონის სახით და საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე განთავსებული სახსრებიდან მიღებულმა შემოსავალმა შესაბამისად 26,752,054 და 597,722 ლარი შეადგინა. პირველადი სახის შენატანით მიღებული შემოსავალი 200,000 ლარი, სხვა შემოსავლები 40,000 ლარი იყო (ცხრილი #11).

ცხრილი #11: დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შემოსავლები, 2017-2025

წელი	პირველადი შენატანი	რეგულარული სადაზღვევო შენატანი	სადღეღამისო სარგებელი	კუპონი	სხვა შემოსავალი	სულ შემოსავალი
2017	1,600,000	0	0	0	0	1,600,000
2018	0	13,843,674	0	349,391	0	14,193,065
2019	0	16,787,385	0	1,541,832	0	18,329,218
2020	0	22,687,212	0	3,436,201	0	26,123,412
2021	0	30,674,444	0	5,229,436	0	35,903,880
2022	100,000	37,678,392	561,955	8,477,992	0	46,818,339
2023	100,000	42,393,708	1,543,994	13,101,777	0	57,139,479
2024	100,000	64,264,041	713,936	19,651,700	26,317	84,755,995
2025	200,000	73,159,034	597,722	26,752,054	40,000	100,748,810
სულ	**2,100,000**	**301,487,889**	**3,417,608**	**78,540,383**	**66,317**	**385,612,197**

დეპოზიტების დაზღვევის ფონდში აკუმულირებული სახსრები, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და წლიური საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, მიემართება ინვესტირებაზე. ფონდის დაცულობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, სახსრების ინვესტირება მხოლოდ დაბალრისკიან აქტივებში, კერძოდ, სახაზინო ფასიან ქაღალდებში ხორციელდება. ასევე, სააგენტო თავისუფალ სახსრებს განათავსებს საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტის ანგარიშზე, სადაც დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებელი განსაზღვრულია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ოდენობით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ შესყიდული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ნომინალური მოცულობა 354,868,000 ლარი, ხოლო შესყიდვის ფასი 365,523,819 ლარია (ცხრილი #12).

ცხრილი #12: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს პორტფელი, 2017- 2025

აუქციონის თარიღი	ნომინალური ღირებულება, ლარი	შესყიდვის ფასი, ლარი	ვადიანობა	სარგებლის პროცენტი	კუპონი (%)	დაფარვის თარიღი
26.01.2021	2,000,000.00	2,006,075.61	5 წელი	8.050	8.125	28.01.2026
26.01.2021	2,000,000.00	2,002,022.69	5 წელი	8.100	8.125	28.01.2026
23.03.2021	2,380,000.00	2,374,634.55	5 წელი	8.500	8.125	28.01.2026
27.04.2021	770,000.00	767,182.06	5 წელი	8.750	8.125	28.01.2026
24.08.2021	1,950,000.00	1,880,711.09	5 წელი	9.300	8.125	28.01.2026
24.08.2021	2,000,000.00	1,935,884.70	5 წელი	9.200	8.125	28.01.2026
22.02.2022	4,000,000.00	4,068,182.18	5 წელი	9.500	9.750	27.01.2027
22.02.2022	1,700,000.00	1,715,830.87	5 წელი	9.700	9.750	27.01.2027
28.06.2022	4,650,000.00	4,783,690.81	5 წელი	10.100	9.750	27.01.2027
23.08.2022	730,000.00	736,785.10	5 წელი	9.700	9.750	27.01.2027
22.11.2022	5,000,000.00	5,287,609.44	5 წელი	8.990	9.750	27.01.2027
27.12.2022	5,000,000.00	5,355,937.79	5 წელი	8.850	9.750	27.01.2027
10.01.2023	3,000,000.00	3,061,902.13	5 წელი	8.750	8.125	28.01.2026
07.02.2023	2,000,000.00	1,973,226.71	5 წელი	8.750	8.125	28.01.2026
07.02.2023	5,000,000.00	4,939,419.77	5 წელი	8.700	8.125	28.01.2026
07.03.2023	5,000,000.00	4,984,514.50	5 წელი	8.600	8.125	28.01.2026
07.03.2023	5,000,000.00	4,989,505.97	5 წელი	8.560	8.125	28.01.2026
04.04.2023	20,000,000.00	20,092,715.36	5 წელი	8.550	8.125	28.01.2026
02.05.2023	10,000,000.00	10,111,627.04	5 წელი	8.550	8.125	28.01.2026
02.05.2023	10,000,000.00	10,099,732.77	5 წელი	8.600	8.125	28.01.2026
06.06.2023	3,000,000.00	3,065,069.65	5 წელი	8.450	8.125	28.01.2026
06.06.2023	2,000,000.00	2,041,069.23	5 წელი	8.500	8.125	28.01.2026
04.07.2023	5,000,000.00	5,403,437.04	5 წელი	8.500	9.750	27.01.2027
01.08.2023	4,000,000.00	4,167,382.08	5 წელი	8.400	9.750	27.01.2027
05.09.2023	5,000,000.00	5,265,014.87	5 წელი	8.300	9.750	27.01.2027
07.11.2023	10,000,000.00	10,677,657.34	5 წელი	8.300	9.750	27.01.2027
05.12.2023	5,000,000.00	5,371,966.12	5 წელი	8.300	9.750	27.01.2027
09.01.2024	25,000,000.00	27,102,232.86	5 წელი	8.250	9.750	27.01.2027
06.02.2024	3,188,000.00	3,321,672.11	5 წელი	8.250	9.750	27.01.2027
05.03.2024	15,000,000.00	15,765,311.56	5 წელი	8.150	9.750	27.01.2027
02.04.2024	5,000,000.00	5,319,281.91	5 წელი	7.900	9.750	27.01.2027
07.05.2024	7,000,000.00	7,504,278.88	5 წელი	7.900	9.750	27.01.2027
02.07.2024	14,000,000.00	14,760,869.65	10 წელი	9.000	9.375	18.01.2028
06.08.2024	14,000,000.00	14,225,970.72	10 წელი	9.000	9.375	18.01.2028
24.09.2024	5,000,000.00	5,022,018.27	5.5 წელი	8.300	8.250	28.08.2029
24.09.2024	5,000,000.00	5,002,215.79	5.5 წელი	8.400	8.250	28.08.2029
22.10.2024	14,000,000.00	14,137,956.58	5.5 წელი	8.330	8.250	28.08.2029
22.10.2024	14,000,000.00	14,148,930.09	5.5 წელი	8.300	8.250	28.08.2029
26.11.2024	7,000,000.00	7,115,906.95	5.5 წელი	8.350	8.250	28.08.2029
24.12.2024	6,000,000.00	6,137,430.88	5.5 წელი	8.350	8.250	28.08.2029
04.03.2025	20,000,000.00	20,707,718.32	10 წელი	8.440	9.375	18.01.2028
01.04.2025	8,000,000.00	8,336,220.64	10 წელი	8.440	9.375	18.01.2028
22.04.2025	6,000,000.00	6,359,758.82	10 წელი	8.750	10.250	23.04.2030
27.05.2025	5,500,000.00	5,839,891.30	10 წელი	8.920	10.250	23.04.2030
24.06.2025	12,000,000.00	12,819,773.84	10 წელი	8.935	10.250	23.04.2030
05.08.2025	16,000,000.00	16,128,914.85	5.5 წელი	9.100	8.250	28.08.2029
02.09.2025	10,000,000.00	9,704,561.22	5.5 წელი	9.200	8.250	28.08.2029
04.11.2025	14,000,000.00	13,906,153.74	5.5 წელი	8.950	8.250	28.08.2029
02.12.2025	3,000,000.00	2,997,962.96	5.5 წელი	8.970	8.250	28.08.2029
სულ	**354,868,000**	**365,523,819**				

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის ფონდის საბალანსო ღირებულებამ 370.98 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულ მაჩვენებელი მოიცავს როგორც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საბალანსო ღირებულებას, ასევე ანგარიშებზე განთავსებულ ნაღდ ფულს. 2017-2025 წლებში დეპოზიტების დაზღვევის ფონდის მოცულობის ტენდენცია მოცემულია #13 ცხრილში.

ცხრილი #13: დეპოზიტების დაზღვევის ფონდი, მლნ ლარი, 2017- 2025



პროგრამის განახლება

2025 წელს განახლდა დეპოზიტების დაზღვევის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა (მართვის საინფორმაციო სისტემა). კერძოდ, ტექნიკური ხასიათის ცვლილებები დაემატა უკვე არსებულ მოდულებს, მათი სრულყოფის მიზნით. ასევე, სრულიად ახალი სერვისის ფუნქციონალი (API), რომლის საშუალებით სადაზღვევო შემთხვევის მართვის პროცესი მარტივდება და იზრდება მისი თავსებადობა თანამედროვე სტანდარტებთან.

აქამდე არსებული მოდელით, აგენტი ბანკის მომხმარებლებს (კომერციული ბანკი, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის პროცესში სააგენტოს სახელით ახორციელებს დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურებას) უწევდათ ერთდროულად 2 სისტემაში ოპერირება, როგორც

საკუთარი ბანკის, ისე მართვის საინფორმაციო სისტემის. ახალი მოდულის საშუალებით ხდება სააგენტოსა და აგენტი ბანკის პროგრამებს შორის მონაცემთა გაცვლა რეალურ რეჟიმში, რაც ანაზღაურების პროცესს ბევრად მოქნილს ხდის, ამცირებს მომსახურების დროს და შესაბამისად, უზრუნველყოფს დაზღვეული დეპოზიტორებისთვის სწრაფი და შეუფერხებელი მომსახურების მიწოდებას, საჭიროების შემთხვევაში.

სააგენტოს მიერ სარეზოლუციო ფონდის მართვა და საბანკო რეზოლუციაში მონაწილეობის საკითხი

2025 წლის იანვარში საქართველოს ეროვნულ ბანკსა და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს შორის გაფორმდა შეთანხმება „სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირების თაობაზე“. შეთანხმების თანახმად, სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირებას, საინვესტიციო მიმართულებით, ახორციელებს სააგენტო. სარეზოლუციო ფონდის მართვის პროცესში, სააგენტო ხელმძღვანელობს დეპოზიტების დაზღვევის ფონდის მართვის პრინციპებით, რომელიც განსაზღვრულია კანონით და სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკით და გეგმით.

2025 წელს სააგენტომ გააგრძელა მუშაობა საბანკო რეზოლუციის პროცესში დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ჩართულობის სხვადასხვა მოდელების შესწავლის მიმართულებით. მიმდინარეობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა და პარტნიორების გამოცდილების გაზიარება. საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციით, მიზანშეწონილია დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მანდატის გაფართოება და მისი, თუნდაც მინიმალური, მხოლოდ დაზღვეული დეპოზიტების წილით ჩართულობა სარეზოლუციო პროცესში.

წლის განმავლობაში სააგენტო მონაწილეობდა მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებში საქართველოს ეროვნული ბანკის რეზოლუციის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (IADI) 2024 წლის კვლევის თანახმად, ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზარდა დეპოზიტების დაზღვევის ფონდების მონაწილეობა რეზოლუციის პროცესში. ჩართულობა სხვადასხვა დონისა და ინტენსივობისაა - იქნება ეს სარეზოლუციო პოლიტიკის დაგეგმვაში ჩართულობა, თუ უშუალოდ ფონდის მონაწილეობა რეზოლუციის განსხვავებულ ინსტრუმენტებში. კვლევის პერიოდისთვის, იურისდიქციების მხოლოდ 18%-ში არ არის ჩართული დეპოზიტების დაზღვევის სისტემები

რეზოლუციის პროცესში არც ერთი ფორმით. ანალოგიური მაჩვენებელი, 2004 წელს, 32%-ს შეადგენდა.

კომერციული ბანკების ადგილზე გადამოწმება

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უფლებამოსილია „კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებისგან მიღებული კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ ინფორმაცია გადაამოწმოს ადგილზე, დისტანციურად ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირის ან/და კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების მეშვეობით“ („საქართველოს კანონი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 1, „ლ“ ქვეპუნქტი). აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, 2025 წლის მეოთხე კვარტალში ადგილზე გადამოწმდა შემდეგი კომერციული ბანკები: სს „პეისერა ბანკი საქართველო“, სს „სილქ ბანკი“ და სს „ზირაათ ბანკი საქართველო“.

ადგილზე გადამოწმების პროცესი მიზნად ისახავს, ყოველწლიურად შერჩეულ 3 კომერციულ ბანკსა და მიკრობანკში, გადამოწმდეს სააგენტოსთვის მოწოდებული ინფორმაციის შედგენის პროგრამული უზრუნველყოფის და ბიზნეს-პროცესის გამართულობა, ასევე, მონაცემთა ბაზების მდგომარეობა.

გადამოწმების შედეგად გამოვლენილ ცალკეულ ხარვეზებთან დაკავშირებით, მათი აღმოფხვრის მიზნით, კომერციულ ბანკებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები. საერთო ჯამში, შედეგები დადებითად შეფასდა.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2025 წლის ნოემბრიდან სააგენტო საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის მუდმივმოქმედი წევრია. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. კომიტეტის მიზანია ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის განვითარება-დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელების მხარდაჭერა.

სააგენტო 2025 წელსაც აქტიურად იყო ჩართული პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში. მონაწილეობა მიიღო დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციისა (IADI) და დეპოზიტების მზღვეველთა ევროპული ფონდის (EFDI) ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეაში, ასევე, სხვადასხვა დარგობრივი კომიტეტების შეხვედრებში.

ამავდროულად, ღრმავდება ორმხრივი პარტნიორობის ფორმატებიც. 2025 წელს სააგენტომ მონაწილეობა მიიღო სომხეთის დეპოზიტების დაზღვევის ფონდის დაარსების 20 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი სომხეთის დეპოზიტების დაზღვევის ფონდთან, რომლითაც მხარეები მჭიდრო ურთიერთკავშირის, გამოცდილებისა და ექსპერტიზის გაზიარების მუდმივ მზადყოფნას ადასტურებენ.

საერთაშორისო პლატფორმებზე აქტიური ჩართულობა და კონტაქტების გაღრმავება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად დაისახა 2026 წლისთვისაც. გარდა ამისა, წლიურ სამოქმედო გეგმაში ასევე გაიწერა რამდენიმე პრიორიტეტული საკითხი, მათ შორის სადაზღვევო ზღვრის გაზრდასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანიის წარმოება და წლის მეორე ნახევარში საზოგადოებრივი კვლევის ჩატარება ცნობადობის და საინფორმაციო კამპანიის შედეგების შესწავლის მიზნით. 2026 წლისთვის, ასევე, დაგეგმილია, მართვის საინფორმაციო სისტემაში დამატებული ახალი ფუნქციონალის პრაქტიკული გამოცდა. ჩატარდება სიმულაციური ტესტი პროცესის მონაწილე მხარეების ჩართულობით.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური მდგომარეობა

სსიპ „დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები გაწერილია შესაბამისი წლის ბიუჯეტით და ფინანსდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდიდან. ფონდის შემოსავლების მთავარ ნაწილს წარმოადგენს კომერციული ბანკების და მიკრობანკების მიერ განხორციელებული პირველადი შენატანები, რეგულარული სადაზღვევო შენატანები და საინვესტიციო საქმიანობისგან მიღებული სარგებელი. სააგენტოს აქვს ფონდის და ანგარიშსწორების ანგარიში ხაზინაში, რომლის საშუალებითაც ახორციელებს ანგარიშსწორებას კანონმდებლობის შესაბამისად. სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებული სააგენტოს უფროსის მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, შეადგენდა 1,325,000 ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 1,248,678.83 ლარი (ცხრილი #13).

ცხრილი #13: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ, 2025 წელი

	გეგმა	ვალდებულება	გადახდა
ჯამური	1,325,000.00	1,265,228.53	1,248,678.83
ხარჯები	1,312,400.00	1,252,711.02	1,236,161.32
შრომის ანაზღაურება	595,000.00	538,370.78	538,370.78
საქონელი და მომსახურება	639,300.00	636,488.45	619,938.75
გრანტები	70,300.00	70,218.30	70,218.30
სოციალური უზრუნველყოფა	7,200.00	7,114.42	7,114.42
სხვა ხარჯები	600.00	519.07	519.07
არაფინანსური აქტივების ზრდა	12,600.00	12,517.51	12,517.51